ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №308-2013

ქ. თბილისი 12 აგვისტო, 2013 წელი

ერთი მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით (**„შემსყიდველი"**), და მეორე მხრივ – შპს „თეგეტა მოტორსი" (იურიდიული/ფაქტიური მისამართი: აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) მისი დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით (**„მიმწოდებელი"**), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ა/მანქანა ლექსუს RX-300 (სახ.ნომერი WMI-300)-სათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა, კერძოდ:

1. ზეთი ძრავის Motul 5W30 Eco-Negry 5L (CPV09211100 - ძრავის ზეთები)
- 5ლიტრიX20.00ლარი = 100.00 ლარი
2. ზეთის ფილტრი (CPV34322000 - მუხრუჭები და მუხრუჭის ნაწილები)
- 1ცალიX15,00ლარი = 15,00 ლარი
3. ფილტრი ჰაერის (CPV34322000 - მუხრუჭები და მუხრუჭის ნაწილები)
- 1ცალიX20,00ლარი = 20,00 ლარი
4. ფილტრი სალონის (CPV34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის) - 1ცალიX30,00ლარი = 30,00 ლარი
5. ზეთი ტრანსმის. JaetecToy.ATF Type T-1V 4L (CPV09211100 - ძრავის ზეთები)
- 7ლიტრიX25.00ლარი = 175.00 ლარი
6. ზეთისა და ფილტრის შეცვლა
(CPV50112200 - მანქანის ტექნიკური მომსახურება) - 50,00 ლარი

7. ბურთულა სახსარი (CPV34322000 - მუხრუჭები და მუხრუჭის ნაწილები)
- 2ცალიX50.00ლარი = 100.00 ლარი
8. სტაბ. კრონშტეინი წნ.მჯ.(CPV34322000 - მუხრუჭები და მუხრუჭის ნაწილები)
- 1ცალიX40.00ლარი = 40.00 ლარი
9. სამუხრუჭე ხუნდი წინა (CPV 34322400 - მუხრუჭის ხუნდები)
- 1 ცალიX84.00ლარი = 84.00 ლარი
10. სამუხრუჭე ხუნდი უკანა (CPV 34322400 - მუხრუჭის ხუნდები)
- 1 ცალიX65.00ლარი = 65.00 ლარი
11. ბერკეტის მილისა (CPV34322000 - მუხრუჭები და მუხრუჭის ნაწილები)
- 2ცალიX30.00ლარი = 60.00 ლარი
12.სტაბ. კრონშტეინი წნ.მც.(CPV34322000 - მუხრუჭები და მუხრუჭის ნაწილები)
- 1ცალიX40.00ლარი = 40.00 ლარი
13. ჰალოგენის ნათურა (CPV34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის) - 2ცალიX6.50ლარი = 13.00 ლარი
14. ნათურა W21/5W (CPV34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის) - 3ცალიX5.00ლარი = 15.00 ლარ

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 807.00 (რვაას შვიდი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.1. მიმწოდებელი კასუხს აგებს მიწოდებული საქოხლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდების მომენტში ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას სტუ-ს მხრიდან განახორციელებს რ. ჩიქვინიძე (შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი) და შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან: თამაზ მდინარაძეს (სტუ-ს საწყობის გამგე) შორის.
3.3. საქონლის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. საქონლის მოწოდების ვადა

4.1. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებან-მოვალეობები.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
7.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.1. მხარეთა ძორის სადაო საკითხი წყდება ძოლაკარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 სექტემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მის: კოსტავას ქ. №77 სახელმწიფო ხაზინა ა.ა.200122900 ს.კ. 211349192 ბანკის კოდი 220101222	შპს „თეგეტა მოტორსი" აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ ტელ 2244444 ს.ს. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: 220101830 ა.ა GE80TB0600000024467853 ს.კ.202177205
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი	დირექტორი გ.მშვილდაძე
---	---
სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი გ.გავარდაშვილი	